ხელშეკრულება მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №97

ქ. თბილისი **20 აპრილი 2022 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში, წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხემძღვანელის (აპარატის უფროსი) ელენე დუმბაძის სახით (შემდგომში– შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შპს „სერვის პლაზა" (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ. თბილისი, ხარაძის 4, წარმოდგენილი დირექტორის ზვიად სილაგაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: 2022 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ციფრული ასლგადამღები მოწყობილობის- XEROX Worcentre5855 და XEROX Versalink B7030– პროფილაქტიკურ-ტექნიკური მომსახურების (ინსტალაცია, დანადგარის ინსტალაცია; ოპტიკის მოწყობილობის გამართვა; დანადგარის სისტემის პერიოდული წმენდა; დეტალების კონტროლი; პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სწრაფცვეთადი კვანძებისა და ნაწილების შეცვლა; დანადგარების შეკეთება, კონსულტაციების ჩატარება) სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 ასლგადამღები მოწყობილობის- XEROX Worcentre 5855 პროფილაქტიკურ-ტექნიკური მომსახურების (ინსტალაცია, დანადგარის ინსტალაცია; ოპტიკის მოწყობილობის გამართვა; დანადგარის სისტემის პერიოდული წმენდა; დეტალების კონტროლი; პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სწრაფცვეთადი კვანძებისა და ნაწილების შეცვლა; დანადგარების შეკეთება, კონსულტაციების ჩატარება) თანხა ერთი თვის განმავლობაში შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს; XEROX Versalink B7030– პროფილაქტიკურ-ტექნიკური მომსახურების (ინსტალაცია, დანადგარის ინსტალაცია; ოპტიკის მოწყობილობის გამართვა; დანადგარის სისტემის პერიოდული წმენდა; დეტალების კონტროლი; პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სწრაფცვეთადი კვანძებისა და ნაწილების შეცვლა; დანადგარების შეკეთება, კონსულტაციების ჩატარება) თანხა ერთი თვის განმავლობაში შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს.
1.3 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა მოხდება საჭიროების შემთხვევაში.
1.4 კლასიფიკატორის კოდი: 503 000 00; 503 130 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 გაწეული მომსახურების ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 მომსახურების გაწევის საერთო ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან) ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან 2-3 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2;

4 . შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) მალხაზ ციბაძის დასკვნის საფუძველზე განახორციელებს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი ხ.ბენდელიანი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების გაწევის შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლიდან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9..2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
9.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) მალხაზ ციბაძე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების "მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის.
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 204 495 055

მიმწოდებელი:

შპს „სერვის პლაზა"
მის: ქ.თბილისი, ხარაძის 4
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 09 TB 7933 1360 2010 0002
ს/კ 401 983 430

ელენე დუმბაძე

ზვიად სილაგაძე

Zviadi Silagadze 01031003779
Digitally signed by Zviadi Silagadze
Date: 2022.04.21 13:02:31

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით. მიმწოდებელთან (შპს „სერვიზ პლაზა“).

ელენე დუმბაძე

მაია გეგია

დავით გამცემლიძე

შალვა ლომსაძე

ხვიჩა ბენდელიანი

მალხაზ ციბაძე

ირაკლი ბლიაძე